დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეთერ მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

თეა თავაძე- ასათიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ანანო შანავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
დომინიკა აბაშიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო ჭანტურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246994105

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვირიკე
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვირიკე
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	qobkvirike@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	598402530

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 5 26 0000202134 - 23.02.2026 წელი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 25 და 26 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვირიკე 1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვირიკე 1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვირიკე 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 23.02.2026 წლის MES 5 26 0000202134 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2026 წლის 25 და 26 მარტს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლაში. მისამართი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვირიკე. ვიზიტის ეფექტიანი წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განსაზღვრა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ინტერვიუირებამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, რჩევები და ხარვეზები დეტალურადაა აღწერილი დასკვნაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: **------300--------**	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 300 მოსწავლით განსაზღვრას, ვინაიდან სკოლას არ გააჩნია შესაბამისი რაოდენობის სასკოლო ინვენტარი. სკოლაში ვიზიტის დროს ადგილზე ჰქონდათ 148 სასკოლო მერხი და სკამი. 46 კომპლექტი კი, მიღება - ჩაბარების აქტებით, გადაცემული ჰქონდათ მუნიციპალიტეტის სხვა სკოლებისთვის დროებით სარგებლობაში. ექსპერტთა ჯგუფი, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 200 მოსწავლით ან 300 მოსწავლით განსაზღვრის შემთხვევაში სწავლება წარიმართოს ორ ცვლაში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგთა შერჩევა/დასაქმება.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალსწინებულ ვადაში, 2026 წლის 30 დეკემბრამდე, მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
3,5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 2028 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს შიდა პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟება.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის 30 დეკემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი რესურსით აღჭურვა.
2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	2026 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დასაქმება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*

ინდიკატორი N 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებისას იხელმძღვანელოს სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით.
N 1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად გაწეროს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი.
N 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	თანხვედრაში მოიყვანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების დამტკიცების ფორმა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-8 თავის (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია) მე-16 პუნქტი.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	შეიმუშავოს დოკუმენტი რომელშიც გაწერილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული	აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად და ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორი განათავსოს ისეთ სივრცეში, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას და ხელმისაწვდომი იქნება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის.

	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები დ მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	მატერიალური რესურსების სარგებლობის წესებით კონკრეტულად განისაზღვროს საკლასო და სხვა დანიშნულების ოთახებში განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა, დასახელებები, მათი სარგებლობის პირობები და პასუხისმგებელი პირები.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რჩევა: სკოლაში საქმისწარმოება უზრუნველყოს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემა ემთხვეოდეს სტანდარტით განსაზღვრულს. სასურველია, კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი მეტი შუალედური დავალება, დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს შუალედური დავალების პირობები.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა** სასურველია კათედრაზე შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩო ერთიანი ფორმატი.

ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას	**კომპიუტერული ტექნოლოგიები** სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის დასაქმება ან მოქმედი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის სასერტიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით, რათა გაუმჯობესდეს კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელება და სწავლა-სწავლების ხარისხი.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კათედრაზე შემუშავებული იყოს კურიუკულუმების ერთიანი ჩარჩო, ყველა თემაში წარმოდგენილი იყოს სამიზნე ცნებები და ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, მითითებული იყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ასევე რესურსების ჩამონათვალი. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომის ოქმი, სადაც მტკიცდება საგნობრივი კურიკულუმები.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია დაწყებით და საბაზო საფეხურის კურუკულუმებში თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნ ცნება
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სახელმწიფო ენა** სასურველია, საბაზო საფეხურზე თემების შიდა სტრუქტურის უფრო მკაფიოდ გაშლა, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე კლასკომპლექტების სპეციფიკის ასახვა კურიკულუმში.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია კათედრამ ერთობლრივად შეიმუშაოს და სრულყოს დაწყებითი საფეხურის (5–6 კლასები) და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები, 1–4 კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, აგრეთვე დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მუსიკის კურიკულუმების ანალოგიურად.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკის** კათედრას მიეცა რჩევა, თანხვედრაში მოიყვანონ დამტკიცებულ სახელმძღვანელოების ჩამონათვალში შეტანილი გამომცემლობები და ავტორები, მიმდინარე კურიკულუმთან.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**კომპიუტერული ტექნოლოგიები** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის ჩართვა სასწავლო პროცესში ან არსებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა (მათ შორის, სასერტიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება), რათა გაუმჯობესდეს კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელება.

2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბიოლოგიის რესურსების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს ასაკობრივი შესაძლებლობები; კურიკულუმში ჩაშენდეს ვირტუალური ლაბორატორიიდან დავალებები; კურიკულუმში აისახოს ინტერვიუს დროს აღწერილი მარტივი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს ლაბორატორიულ რესურსს. ბუნებისმეტყველბის მეოთხე კლასის კურიკულუმში მოცემული სასწავლო რესურსი შესაბამისობაში იყოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულ გრიფირებული სახელმძღვანელობის ჩამონათვალთან.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** VI კლასის ჩვენი საქართველოს, VII კლასის ისტორიის კურიკულუმებში ზუსტად იყოს მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოს სათაური, ავტორი, გვერდები; ასევე, მიეთითოს დამატებითი რესურსები და ლიტერატურა.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლ რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია დაწყებითი და საბაზო საფეხურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ასევე მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, რომელზეც პედაგოგმა ვიზიტისას ისაუბრა
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლ რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა** სასურველია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე დამატებითი რესურსების გამოყენება უფრო სისტემურად და თემებთან შესაბამისობაში იყოს წარმოდგენილი, მათ შორის კლასკომპლექტების გათვალისწინებით.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლ რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას	**ტექნოლოგიები** სასურველია რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად გაძლიერდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარება, მათ შორის პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და მენტორინგის გზით, ან უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმს ერთვოდეს ყველ შუალედური დავალების პირობა
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კურიკულუმებში მეტად იყოს ასახული მოსწავლეთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომები, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის, წარმოდგენის და ანალიზის პროცესი. პედაგოგებმა შექმნან ინდივიდულაური პროფესიული პორტფოლიო/საქაღალდეები, სადაც შეინახავენ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ნაშორმების ფოტო-ვიდეო ამსახველ, დამადასტურებელ მასალებს
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური (ითვალისწინებს დიფერენცირებუ მიდგომებს	**ტექნოლოგიები** რეკომენდირებულია გაძლიერდეს მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით (ტრენინგები, მენტორინგი, პრაქტიკული რესურსები) ან უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა, რათა სასწავლო პროცესი სრულად პასუხობდეს ყველა მოსწავლის საჭიროებებს.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** მეტი ყურადღება დაეთმოს შუალედური დავალებების და შემოქმედებითი პროდუქტების შეფასების რუბრიკების შექმნას. ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით აფასებს პედაგოგი მოსწავლის დავალებას, რომელ სამიზნე ცნებებზე მიემართება და რა დონეზეა მოსწავლის ცოდნა ამ ცნებასთან მიმართებით (პრე-, უნი-, მულტისტრუქტურული, მიმართებითი და აბსტრაქტული დონეები).

2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა დ ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, რომ (მუსიკის/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) შეფასების რუბრიკები უფრო დაიხვეწოს, მოერგოს კონკრეტულ თემას და მკაფიოდ წარმოაჩინოს მოსწავლის მიღწევის დონე თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა დ ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** დაწყებითი და საბაზო საფეხურები: სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების უფრო ზუსტ და ობიექტურ შეფასებას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა დ ამოცანებს	**მათემატიკა** სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასწავლო პროცესი ყველა საგანში წარიმართოს კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებელმა ეტაპობრივად უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი აქტივობების სრულფასოვანი განხორციელება
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასწავლო წლის დაწყებამდე აუცილებლად გადახედონ წინა წლის კურიკულუმებს და პედაგოგების მიერ წარმოებულ ჩანაწერებს, რომ გაითვალისწინონ წარმატებული პრაქტიკები და თავიდან აიცილონ უკვე გამოვლენილი ხარვეზების გამეორება.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ტექნოლოგიები** რეკომენდირებულია გაძლიერდეს მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით (ტრენინგები, მენტორინგი), ან უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა, რათა სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამებოდეს სასკოლო კურიკულუმს.

2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** შეფასების რუბრიკები მოარგონ შესაბამისი ცნებების საფუძველზე შექმნილ კრიტერიუმებს, რომელშიც იქნება ასახული მოსწავლეთა ცოდნა-უნარების მიღწევის დონეები; შექმნან ეს რუბრიკები მოსწავლეების და მშობლების ჩართულობით.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა** უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებად გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, ამიტომ სასურველია კათედრამ , უზრუნველოს კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებების რუბრიკების შემუშავება , სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** სასურველია შეფასების რუბრიკებში, განსაკუთრებით დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობიექტურობისა და სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერებას.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ტექნოლოგიები** რეკომენდირებულია სკოლამ შეიმუშავოს სრულყოფილი, დოკუმენტირებული შეფასების სისტემა, უზრუნველყოს მასწავლებლების გაცნობა მასთან და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, ვალიდური და სამართლიანი.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინონ წინა წლების გამოცდილება და უფრო სრულყოფილი გახადონ ეს დოკუმენტაცია, ასახონ დამატებითი კონკრეტული ლიტერატურა, საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი რესურსები (მაგალითად რუკები, ელექტრონული აპლიკაციებ პრეზენტაციების დროს გამოყენებული რესურსები: Canva, Google Slides, Sway

		და ა.შ.). მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები გამოიყენონ, როგორც სასწავლო რესურსი.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, კურიკულუმებში თემის გასწვრივ არსებულ რესურსების სვეტში ჩაშენდეს შესაბამისი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამოყენებული გვერდები.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ტექნოლოგიები** რეკომენდირებულია მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის გაძლიერება, მათ შორის ტრენინგებისა და მენტორინგის გზით ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა სასწავლო პროცესში, რათა რესურსები გამოყენებულ იქნას ეფექტიანად.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კათედრის სხდომებზე განიხილონ საგნობრივი დამხმარე სასწავლო რესურსების ძირითადი ჩამონათვალი და დაამტკიცონ შესაბამისი ოქმით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის მისია და ხედვა წარმოდგენილია 2024 წლის 9 სექტემბერს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში, რასაც ადასტურებს სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N1 სხდომის ოქმი და სკოლის 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითრების გეგმის დოკუმენტი. სკოლის მისია შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს და ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ინტერესებიდან, ტრადიციებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის, ღია სამოქალაქო საზოგადოების, კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მოსწავლე-ახალგაზრდობა. სკოლის მისიის დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის დანიშნულება, რომ სკოლამ შეძლოს ინოვაციური, თანამშრომლობითი, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფით, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვით თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. ასევე ტოლერანტული თვისებების მატარებელი, ფიზიკურად და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების, სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და შესაბამისად საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება და ცხოვრების გამოწვევებისადმი მზადყოფნა.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ინტერესებსა და ტრადიციებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის საკითხებზე. მისია და ხედვა სკოლას ეხმარება განსაზღვროს საკუთარი როლი თემში. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, ჯანსაღი და პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთ პატივისცემას. სკოლა ზრუნავს პედაგოგების პროფესიულ განვითარებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. მოსწავლეთათვის ტარდება სპორტული, საინფორმაციო-შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები.

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიას. სკოლას 2024 წლიდან აქვს შემუშავებული სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება. მისი დამტკიცება კი, უზრუნველყო სამეურვეო საბჭომ 2024 წლის 9 სექტემბრის N 1 სხდომაზე. დირექტორთან და სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენისას სკოლის საჭიროებების გამოვლენის მიზნით მხოლოდ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს დაეყრდნო სკოლა და კვლევის სხვა მეთოდები არ გამოუყენებია.

სკოლას მიეცა რჩევა: შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებისას იხელმძღვანელოს სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეები, თუმცა არ არის აღწერილი მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად გაწეროს მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის - გამოკრულია სკოლის დერეფანში, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს შინაგანაწესთან ერთად მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

,,სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლა“ სრულიად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №448 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ❖ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.
- ❖ სამოქმედო გეგმა 2025-2026
- ❖ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ❖ სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ❖ პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- ❖ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-8 თავის (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია) მე-16 პუნქტის მიხედვით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი, რაც წინააღმდეგობაშია სკოლის მიერ განხორციელებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების დამტკიცების ფორმასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მიხედვით, სკოლა გეგმავს ყოველწლიურად SWOT ანალიზის გამოყენებით განსაზღვროს სუსტი და ძლიერი მხარეები, მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით დაადგინოს საჭიროებები და დაგეგმოს შემდგომი აქტივობები. საჭიროებების დადგენაში მონაწილეობას მიიღებენ:

- სკოლის დირექცია;
- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- სამეურვეო საბჭო;
- თემი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს გაზიარების მექანიზმებს. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სკოლის ვებ-გვერდს, სოციალურ მედიას და ბეჭდურ მასალებს.

სკოლას მიეცა რჩევა: თანხვედრაში მოიყვანოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების ფორმა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-8 თავის (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია) მე-16 პუნქტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, იგი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). წარმოდგენილი დოკუმენტით 2024 -2031 სასწავლო წლებში სკოლა იმუშავებს შემდეგი მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
- ადამიანური რესურსების განვითარება
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად, რომლებიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 05 სექტემბრის N 1 ოქმით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული ოქმის მიხედვით, სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებს, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია მონიტორინგის დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო-აღმზრდელობითი სამუშაოს შესაფასებლად შედგენილი და განხორციელებული გამოკითხვის კითხვარი, რომლის მიზანიც იყო SWOT ანალიზის მომზადება 2025-2026 სასწავლო წლისათვის. აღნიშნული კითხვარის მიხედვით სკოლამ განსაზღვრა ძლიერი და სუსტი მხარეები, სკოლის შესაძლებლობები, საფრთხეები და სასკოლო საზოგადოების სურვილები. გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად, რაც განაპირობებდა მონაწილეთა გულწრფელობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 05 სექტემბრის N 1 ოქმით. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.
- გამოკითხვის კითხვარი
- სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 05.09.2025 წლის N 1 ოქმი, რომელშიც მეორე საკითხად მოცემულია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების გაცნობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში, თავი 12 მოიცავს ისეთ საკითხების განხილვას, როგორიცაა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მასში დეტალურადაა აღწერილი, რა ნაბიჯებს გადადგავს სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესების წარმატებით განხორციელებისათვის.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ბრძანების შესაბამისად

სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების, ასევე სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ არის ცნობილი, შესაბამისად ვერ განისაზღვრა მისი საჯაროობა. სკოლა აქტიურად გეგმავს სკოლის ვებ-გვერდის გამოყენებას, შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**
   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განსაზღვრული, შესაბამისად სკოლის შემდგომი განვითარებისათვის ვერ გამოიყენება.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✦ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- ✦ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- ✦ სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო საბჭო, მრჩეველთა საბჭო.
   სკოლაში ფუნქციონირებს 3 საგნობრივი კათედრა:
   - **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრა**, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის, უცხო ენების, ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიისა და ჩვენი საქართველოს მასწავლებლები.
   - **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ტექნოლოგიებს კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები.
   - **ესთეტიკური და სპორტის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლები.

   აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ " საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასაწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ"

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, ცეცხლფარეში, დარაჯები და დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. თითოეული დასაქმებული ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას და ხელმოწერამდე ეცნობა ხელშეკრულებას.

სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავოს დოკუმენტი რომელშიც გაწერილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლაში სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა თანამდებობრივი ვალდებულებები გადანაწილებულია და გაწერილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესში, დებულებებში და შრომით ხელშეკრულებებში. თითოეული მათგანი, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს საკუთარ მოვალეობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. საშტატო განრიგით დამტკიცებულ პოზიციებზე მომუშავე ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- ექთნის ხელშეკრულება
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლის შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტით გაწერილია შემდეგი საკითხები: კადრების მოზიდვა და პერსონალის შერჩევა; პერსონალის დანიშვნა; თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები - ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მათი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის წახალისება და მოტივაციის ამაღლება. შინაგანაწესში ვხვდებით პერსონალის მართვის პროცესების რეგულაციებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმებს, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვაზე რეაგირების ვადებსა და პირობებს.
   საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალში შედის: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურებისა და თანამშრომლების უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და შრომით ხელშეკრულებებში. ხელშეკრულებებში განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები და პროფესიული ვალდებულებები განსხვავებულია.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**
   შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში პრევენციულ ღონისძიებებს. კერძოდ: დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს ან დირექტორის

მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. სკოლის დირექტორის მოადგილე აკონტროლებს დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებას, სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვებას და სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობას. ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, საგაკვეთილო ცხრილის გადანაცვლებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი. სკოლაში მასწავლებლის / მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლაში, საგნის ვაკანტური საათებისა და სპეციალური მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სკოლის დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული საკონკურსო განაცხადების წარდგენის ვადა ნაკლებია 5 დღეზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არ მოიცავს ღია კონკურსის ეტაპებსა და კანდიდატისადმი დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის მიერ გამოცხადებული ყოველი ვაკანსიისთვის, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლების ვაკანსიების გვერდი. 2025 - 2026 სასწავლო წლის დაწყებამდე და 2026 წლის იანვარში, სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ღია კონკურსი სხვადასხვა საგნის მასწავლებლის პოზიციაზე ვაკანსიის შესავსებად.

კონკრეტულად:

- ბიოლოგია VII- XII კლასები (8 სთ)
- მათემატიკა I და XII კლასი (4 - 5 სთ)
- ქიმია VIII- XII კლასები (6 სთ)
- ფიზიკა IX- X კლასები (2 სთ)
- სპორტი I – XII კლასები (11 სთ)
- კომპიუტერული ტექნოლოგიები II – VI კლასები (5 სთ)
- სამოქალაქო განათლება VIII – IX – X კლასები (4 სთ)

სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილი საკონკურსო დოკუმენტაციიდან (ბრძანებები, კომისიის ოქმები, კონკურსანტთა განაცხადები) გამოიკვეთა, რომ 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე და შემდგომ, სკოლის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სერტიფიცირებული, ასევე მაძიებელი მასწავლებლები. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველივე, საბუთების გადარჩევის, ეტაპიდან უარი ეთქვა ყველა კონკურსანტს. დირექტორთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საკონკურსო კომისიის მოწვეულ წევრებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივ წარმომადგენელს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, საგნობრივ ექსპერტს და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელს არც წერილობით და არც სატელეფონო ზარით არ ჰქონდათ ინფორმაცია მიწოდებული საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია მათი არ გამოცხადება კომისიის სხდომაზე. საკონკურსო კომისიის მხრიდან დარღვეული იყო დასაქმების ობიექტურობის პრინციპები და პერსონალის შერჩევის პროცედურები. კერძოდ: საკონკურსო კომისიამ არ განიხილა იმ კონკურსანტების განცხადებები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ საკონკურსო განაცხადით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკონკურსო კომისის ოქმებში არ ასახა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია. სკოლამ, არსებულ ვაკანტურ საათებზე დაასაქმა არასერტიფიცირებული კადრები, რომლებიც არ იღებდნენ კონკურსში მონაწილეობას და ვერ აკმაყოფილებდნენ სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პირადი საქმეების შესწავლისას, სკოლის პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული იყო სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ცნობა ნასამართლობის შესახებ. სკოლაში ვიზიტის დროს პირად საქმეებში არ იყო ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და თანადართული დოკუმენტაციით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არ მოიცავდა კონკურსის ეტაპებსა და კანდიდატისადმი დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად, პერსონალის შერჩევა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფდა პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და თანადართული დოკუმენტაციით სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კონკურსის ეტაპებსა და კანდიდატისადმი დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N 1 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა და შეისწავლა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები და სკოლის ელექტრონული ბაზა. სკოლაში დასაქმებულია 15 პედაგოგი. მათ შორის 12 უფროსი და 3 უსტატუსო მასწავლებელი.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 დეკემბრის N 01-03/41 ბრძანება განსაზღვრავს სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის თანამშრომელთა ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ეს უკანასკნელი რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტისას სამოქალაქო განათლებას (VII-IX-X) კლასებში, ქიმია- ბიოლოგიას, სპორტს, მათემატიკას და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლიდნენ პედაგოგები რომელთაც არ ჰქონდათ დადასტურებული კომპეტენცია აღნიშნულ საგნებში ან არ მიეკუთვნებოდნენ საგნობრივ ჯგუფს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გაცნობით დგინდება, რომ სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრა მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგთა შერჩევა/დასაქმება.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში დამკვიდრებული პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მართვაში იკვეთება მართვის მონაწილეობითი სტილი პერსონალის ჩართულობა და თანამშრომლობა დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ხდება, სკოლაში ახლად დასაქმებული კადრის სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაცია. სკოლის სტრუქტურული ერთეულის წევრები მუშაობენ თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებსა და საჭიროებებს. საგნობრივ კათედრებზე იგეგმება სამოქმედო გეგმების შემუშავება, კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი “. ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 26 დეკემბრის N 01-03/50 ბრძანება, პედაგოგთათვის მადლობის გამოცხადების შესახებ, რომლის მიხედვით 3 პედაგოგს გამოეცხადა მადლობა 2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისა და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- თანხმობის წერილი დირექტორს, საათობრივ დატვირთვის გაზრდასთან დაკავშირებით
- თანხმობის წერილი საქმისმწარმოებელს, საათობრივ დატვირთვის გაზრდასთან დაკავშირებით
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები
- კონკურსანტების განაცხადები
- კათედრის სხდომების ოქმები
- დირექტორის ბრძანება მადლობის გამოცხადების შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს საჭიროებების დადგენის, პროფესიული განვითარების, დაგეგმვასა და განხორციელების გარკვეულ მექანიზმებს. სკოლა მზადაა შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისები. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია სკოლის მიერ პერსონალის შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასების ფორმები, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს განახორციელოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. სკოლაში მოქმედებს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, პედაგოგები აქტიურად ახორციელებენ კათედრის წევრთა შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, უზიარებენ გამოცდილებას და იღებენ / გასცემენ უკუკავშირს. მიღებულ შეფასებებს იყენებენ განვითარების საჭიროებათა დასადგენად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა გამოვლენილ საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ადამიანურ რესურსების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა და თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა. სკოლის ბაზაზე მასწავლებლების თანამშრომლობითი კულტურა მაღალია. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, კათედრაზე ერთობლივად გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, მსჯელობენ სწავლა-სწავლების პროცესში რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე, ადგენენ შეფასების რუბრიკებს. მოქმედებს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ცდილობს უზრუნველყოს, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. პედაგოგები ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის კონფერენციებსა და სემინარებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, სწავლების სხვადასხვა მეთოდების, რესურსებისა თუ ლიტერატურის გაცნობას. პედაგოგები გადიან სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

მიერ ორგანიზებულ/აღიარებულ ტრენინგ კურსებს, დისტანციურ რეჟიმში ესწრებიან სემინარებს. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მეოცე მუხლი ეხება თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად: ,,სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყნდნობით: 1. მოქნილობა; 2. სწავლის მხარდაჭერა; 3. შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; 4. უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება “.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები ახალი თანაშმრომლის ადაპტაციის მიზნით, ადაპტაციის აქტივობები და ეტაპები. ახალი თანამშრომლის სწრაფად ადაპტაციისთვის სკოლა მას აცნობს სასკოლო გარემოს, კულტურას, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, წარუდგენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამატებს საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფშები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორცილებელი აქტივობებით, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- მასწავლებელთა სერტიფიკატები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ეს მიმართულებები რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სკოლის სხვა ნორმატიული აქტებით. დირექტორის 2026 წლის 9 იანვრის N 01-03/7 ბრძანებით განსაზღვრულია ,,სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი', რომლის შემადგენლობაშიც შედის დირექტორი, სპეციალური მასწავლებელი და კათედრის წარმომადგენლები. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ბრძანების გაცნობით დგინდება, რომ სკოლამ აღმოფხვრა ხარვეზი და დაამტკიცა ხარისხის

უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები, რომელიც აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები კათედრის მუშაობის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა და სხვა დამხმარე პროცესები, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული გასაჩივრების წესის შესაბამისად. ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი აზრი და პრეტენზია. სკოლა ცდილობს შექმნას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის სივრცე როგორც მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის, ასევე სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის.

დისციპლინური წარმოების წესი მოსწავლეებისა და თანამშრომლების მიმართ მოცემულია სკოლის შინაგანაწესში (დისციპლინური დევნა, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი და სხვა). შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადების და საჩივრის განხილვის წესი. მასში მითითებულია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N 01-03/42 -ით დამტკიცებულია სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აღნიშნულ დოკუმენტი შეიცავს

გასაჩივრების კონკრეტულ მექანიზმებს, დაკონკრეტებულია საჩივრის წერილობითი ფორმის შემადგენლობა და გასაჩივრების ვადები, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი და სხვა.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**
   სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მკაფიოდაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს უფლებებსა და მოვალეობებს. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგანაწესში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება. მშობელთა კრებებზე, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მათი კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ. თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. დირექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის N 01-03/44 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით: სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ჰყავს ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის შესახებ.
- შინაგანაწესი
- მშობელთა კრების ოქმები

- ბრძანება სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ბრძანება სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები, სკოლის ვებ-პორტალი, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო საკითხებთან მიმართებით. მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ, მათ მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები. აღნიშნული კოლეგიალური ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგიურ საბჭოში გაწევრიანებულია ყველა პედაგოგი, რომლებიც მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში. სკოლის კოლეგიალური ორგანოები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა ისეთი

გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: სკოლის ბიუჯეტის, შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმის დამტკიცება და სხვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმში, დღის წესრიგი მოიცავს სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო წლიური გეგმის დამტკიცებას, შესყიდვების გეგმის შეთანხმებას, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებას და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

დირექტორის ბრძანებით სკოლაში გამოყოფილია უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ შემუშავებული მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, გამოკრულია სკოლის დერეფანში.

სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება მორიგე მასწავლებლის და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლიდან მოსწავლის გაშვება საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე ხდება კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებთანაც გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები.

სკოლას შემოვლებული აქვს კაპიტალური რკინის ღობე, რითაც სკოლა გამიჯნულია მოსახლეობისა და სამანქანო გზისგან, დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლის დერეფნებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (სახანძრო სტენდი და ცეცხლმაქრები). საევაკუაციო გეგმები გამოკრულია შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას.

სკოლის დირექტორის მიერ გაგზავნილია წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, სადაც ითხოვს სახანძრო უსაფრთხოების შესწავლას და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზრვრა, რომ 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას.

სკოლა სრულად აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით, დამონტაჟებულია 12 სამეთვალყურეო კამერა. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მონიტორი განთავსებული იყო დირექტორის კაბინეტში და სასკოლო პერიმეტრის მეთვალყურეობას ვერ ახერხებდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობით დგინდება, რომ სკოლამ აღმოფხვრა აღნიშნული ხარვეზი და მტკიცებულებად წარმოადგინა ფოტო მასალა.

სკოლას მოპოვებული აქვს ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სკოლის მდგრადობის შესახებ დასკვნა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მდგრადობის დასკვნის მიხედვით სკოლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, არ აღენიშნება რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის შენობის ექსპლოატაციას.

სკოლას მიეცა რჩევა: აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად და ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორი განათავსოს ისეთ სივრცეში, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას და ხელმისაწვდომი იქნება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალსწინებულ ვადაში, 2026 წლის 30 დეკემბრამდე, მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების წესი, რომელიც გამოკრულია ექმის კაბინეტში. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში / სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი / პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება და სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბავშვის მომართვის შემთხვევაში მისი გასვლა შენობიდან ხდება ექთნის ჩართულობით და დამრიგებელთან კონსულტაციით. ექთანი 2023 წლიდან არის დასაქმებული სკოლაში და შერჩეულია საკონკურსო წესით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დასაქმებულის პირადი საქმე, კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნებს. ექთანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელია სკოლაში სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვაზეც. სამედიცნო კაბინეტში განთავსებულია: კარადა, საკაცე, ტახტი, ინსტრუმენტების თარო, წნევის აპარატი, ფონეიდოსკოპი, ლუპა, ინჰალაციის აპარატი, თერმომეტრი, სიმაღლის საზომი, სასწორი, გამათბობელი, შაქრის საზომი აპარატი, მოტეხილობის დროს დასადები არტახები და სხვა. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ყველა საშუალებებით. ოთახში არის სველი წერტილი, ხელსაბანი. კედელზე გამოკრულია სამედიცინო დახმარების წესი, ჰიგიენის დაცვის პროცედურის ამსახველი ინსტრუქცია ფოტოს სახით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ექთნის მიერ გაკეთებული ჩანაწერები რომლებიც არ შეესაბამებოდა 21.03.2022 წლის №41/ნ/01-23/ნ-ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ

ბრძანებას. ადგილზე იქნა რჩევის გაცემა, რომელიც გაითვალისწინა სკოლამ და აღნიშნული ბრძანების დანართების შესაბამისად უზრუნველყოფს მონაცემების აღრიცხვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დერეფნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები. სკოლის ტერიტორიაზე წესრიგს აკონტროლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლება ხდება მხოლოდ მშობელსა და დამრიგებელს შორის თანამშრომლობით. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილებას აკონტროლებენ სკოლის დარაჯები და დამლაგებელი. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ, შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლაში გათვალისწინებულია მრჩეველთა საბჭოს ფუნქცინირება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვას და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები, სადამრიგებლო საათი ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, შენობის პირველ სართულზე, ინფორმირების მიზნით მოწყობილია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურეობის სამმართველოს ტელეფონის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია ტექნიკური პერსონალი რომელიც საგაკვეთილო პროცესის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სისტემატიურად ზრუნავს ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. დამლაგებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც დაწვრილებით გაწერილია მისი ვალდებულებები სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრხთოების დაცვის უზრუნველსაყოფად. სანიტარულ-ჰიგიენურ ზედამხედველობას სკოლაში ახორციელებს სკოლის ექთანი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით დავალებული აქვს აღნიშნული ფუნქციის შესრულება. პერიოდულად ხდება სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა, სკოლას აქვს ეზო და რეკრეაციული ზონა, რომელიც მუდმივად სუფთავდება. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შენობის სანიტარული მდგომარეობა და სველი წერტილები. სკოლის მთელ პერიმეტრზე დაცული იყო ჰიგიენური ნორმები. საკლასო ოთახებსა და დერეფანში განთავსებულია თავსახურიანი სანაგვე ურნები, რომელშიც განთავსებული იყო პოლიეთილენის პარკი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე pdps.ge ასახულია ინფორმაცია სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი/განსაზღვრული პირის შესახებ. სასკოლაში მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე - ბეჭდური ფორმატით. პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესია და სკოლამ უნდა უზრუნველყოფს ყველა წევრის პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის თანამშრომელთან და მოსწავლის მშობელთან პერსონალურ მონაცემებისა და მათ გამოყენებაზე წერილობითი თანხმობის ფორმა.
სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის პორტალზე, ქცევის წესებისა და აპელაციის მექანიზმების განყოფილებაში ატვირთული იყო სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა, სადაც არ იყო დაფარული მოსწავლის პირადი ინფორმაცია (პირადი ნომერი, სახელი და გვარი და ა.შ). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისი დოკუმენტის გაცნობით დგინდება, რომ სკოლამ პორტალზე განთავსებულ სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ გეგმაში დაფარა მოსწავლის პირადი ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან შენახულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია გარეშე პირთათვის. სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული პროგრამა. სკოლას შემუშავებული/ დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები" და განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების საკითხები. საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით, მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- დამლაგებლის, დარაჯის და ექთნის ხელშეკრულებები;
- სკოლის დირექტორის ბრძანება- სამედიცინო დახმარების წესის დამტკიცების შესახებ;
- პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენებზე, სკოლის პერსონალთან და მოსწავლის მშობელთან გაფორმებული თანხმობის ფორმა;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი, ,, ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882026105402 - 10/02/2026 წელი) რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია; ქობულეთი, სოფელი კვირიკე N1 საჯარო სკოლა. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 20.43.03.023. მიწის დაზუსტებული ფართობია; 6003.00 კვ.მ, მათ შორის შენობა-ნაგებობის ფართია 1097.9 კვ.მ. სკოლა არის ორ სართულიანი, სკოლის ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მეორე სართულზე. საკლასო ოთახები აღჭირვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, სკამებით, დაფებითა და კარადებით. საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ფუნქციურად გამართული 9 პერსონალური კომპიუტერია, სკოლას აქვს 1 პროექტორი. სკოლაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია, ძირითადად კომპიუტერულ ლაბორატორიასა და დირექციის კაბინეტებში. სკოლაში

დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. საპირფარეშოები განთავსებულია ორივე სართულზე, რომელიც გაყოფილია 2 ნაწილად. სკოლას აქვს სრულად რეაბილიტირებული გარე და შიდა სპორტული მოედნები. შიდა სპორტულ მოედანს არ აქვს სველი წერტილები, აქვს მხოლოდ ერთი დამატებითი ოთახი, რომელშიც ინახება სპორტული ინვენტარი. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშოთი და მრავალფეროვანი რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი, სადაც არის ასევე პრინტერი, რომელსაც მასწავლებელი აქტიურად იყენებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობისას.

სკოლაში ვიზიტისას, საკლასო ოთახებსა და სხვა საგანმანათლებლო სივრცეებში განლაგებული იყო 148 ცალი სასკოლო მერხი და სკამი, რაც სრულად შეესაბამებოდა აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობას (54 მოსწავლეს). სკოლის მიერ მოთხოვნილი იყო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 300 მოსწავლით. სკოლაში არსებული სასკოლო ინვენტარით, მერხებისა და სკამების, რაოდენობის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 200 მოსწავლით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა მატერიალური რესურსით საყოველთაო სარგებლობის შესაძლებლობას. ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა სკოლაში არსებულ რესურსებზე (სკოლის ეზო, შიდა და გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი). სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. დოკუმენტით რეგულირებულია სკოლაში არსებული სასწავლო და სხვა დანიშნულების რესურსებით სარგებლობის პირობები, მათ შორის სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების შემთხვევები. თუმცა დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული როგორ არის განაწილებული მატერიალური რესურსები სკოლის სივრცეებში ასევე ჩამოთვლილი ნივთები, მაგალითად კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ჭკვიანი დაფა არაა განთავსებული. ბიბლიოთეკის სივრცე იძლევა სამკითხველო დარბაზის ფუნქციით გამოყენების საშუალებას. საკლასო ოთახებში, განთავსებულია სხვადასხვა სახის ლიტერატურა, რომელთა მოვლა - პატრონობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი საგნის მასწავლებელი.

სკოლას მიეცა რჩევა: მატერიალური რესურსების სარგებლობის წესებით კონკრეტულად განისაზღვროს საკლასო და სხვა დანიშნულების ოთახებში განთავსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა, დასახელებები, მათი სარგებლობის პირობები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში ვიზიტის დროს აღნიშნული დოკუმენტი არ შეესაბამებოდა სკოლის მიზნებს, საჭიროებებსა და მისამართს. მოიცავდა უნივერსიტეტისა და სტუდენტის ურთიერთობის საკითხებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N 01-03/15 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ფოტო მასალა კი ასახავს ანბანის მიხედვით დალაგებულ ჯიბაკებიან, ნომრიან და ბეჭდიან წიგნებს.

ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკარი, რომელიც აღრიცხავს წიგნების გაცემასა და დაბრუნებას სპეციალურ ჟურნალში. გაკეთებული აქვს სათანადო კატალოგი. სამკითხველო სივრცეში გამოკრულია ქცევის წესები, ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამები, წიგნის თაროები და კარადები, სახელმძღვანელოები, კლასგარეშე და მეთოდური ლიტერატურა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის ინკლუზიურ გარემოს: სკოლას აქვს გარეთა პანდუსი, რომლითაც უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლის შემოსვლა შენობაში. რესურს ოთახი განთავსებულია პირველ სართულზე, რომელსაც აქვს ადაპტირებული საპირფარეშო, ასევე ხელმისაწვდომია სპორტული დარბაზი. სკოლას არა აქვს შიდა პანდუსი ან ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის გადაადგილებას მეორე სართულზე, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და იგეგმება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 2028 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს შიდა პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟება.
ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, პრინტერისა და პროექტორის გამოყენებით. სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ✦ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ✦ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ✦ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 10 პერსონალური კომპიუტერი. ვიზიტის დროს 2 კომპიუტერი არ იყო მუშა მდგომარეობაში. სკოლას აქვს 8 ლეპტოპი, 4 პრინტერი, 8 ინტერნეტის გამავრცელებელი როუტერი, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები და ერთი პროექტორი, რომელსაც საჭიროებიდან გამომდინარე იყენებენ პედაგოგები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. მიუხედავად სკოლის მცდელობისა, საკლასო ოთახებში ძნელად, ან არ ვრცელდება სკოლის ინტერნეტი. რესურს ოთახში განთავსებულია ყველა სახის ელექტრო მოწყობილობა, თუმცა ბიბლიოთეკასა და სამედიცინო კაბინეტში არ არის კომპიუტერი და პრინტერის აპარატი. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულ კომპიუტერების გამოყენება შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ასევე სკოლის ნებისმიერ თანამშრომელს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- მიღება - ჩაბარების აქტები
- ინვენტარიზაციის ჩანაწერები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს სკოლაში შემოსულ/გასულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესით შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებსა და ტიპებს, დოკუმენტების შედგენასა და გაფორმებას. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლა იყენებს efloow და Eshool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები,
   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მსგავსი აღრიცხვის ჟურნალები.

- **სკოლას მიეცა რჩევა:** სკოლაში საქმისწარმოება უზრუნველყოს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.
  ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლაში შემოსული კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. ენიჭება შემოსული დოკუმენტის ნომერი. ასევე გასულ დოკუმენტს ენიჭება გასული დოკუმენტის შესასბამისი ნომერი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsoft Outlook, საიდანაც იგზავნება და მიიღება საჭირო ინფორმაცია. Eschool-ის სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის დირექტორის განმარტებითა და ექპერტთა ჯგუფის წევრების მიერ ვიზიტის დროს გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად, საჭიროების შემთხვევაში ხდება მონაცემების განახლება და ასახვა ელექტრონულ სისტემებში. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2025 წლის ანგარიშის შესახებ.
- საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი,

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლას აქვს ვებ-გვერდი კვირიკეს სკოლის გვერდი აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, მოკლე აღწერა ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის იყენებს Facebook, Teams და Messenger პლატფორმებს. სკოლაში განხორციელებული აქტივობების გაზიარება ხდება სკოლის Facebook გვერდზე, რომელსაც ეცნობიან მშობლები, მოსწავლეები და საზოგადოების წევრები. სკოლა საჯარო ტიპის ინფორმაციას ათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისათვის იყენებს ვებ გვერდს კვირიკეს სკოლის გვერდი და Facebook გვერდებს.აღნიშნულ გვერდებზე განთავსებულია სანდო და უტყუარი ინფორმაციები. სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის FB გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების, შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ არის სანდო

და უტყუარი. ნებისმიერი ინფორმაცია გამოქვეყნების წინ გადის ფილტრაციას, მოწმდება ფაქტის ობიექტურობა და სანდოობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, ძირითადად სოციალური ქსელის მეშვეობით, მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლას აქვს ვებ გვერდი კვირიკეს სკოლის გვერდი აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და ფინანსური დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია ქართულ ენაზე.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლას აქვს ვებ გვერდი კვირიკეს სკოლის გვერდი აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და ფინანსური დოკუმენტები. განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რაოდენობა, მათ შორის სსსმ მოსწავლის რიცხოვნებაც. ვებ გვერდი გვაძლევს საშუალებას დაზუსტდეს ინფორმაცია თავისუფალი ადგილების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- [კვირიკეს სკოლის გვერდი]
- [კვირიკეს N 1საჯარო სკოლის Facebook გვერდი]

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება). წლიურ შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსის შეძენა. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სკოლა შესყიდვების გეგმას ადგენს წინა

წლის 20 ნოემბრამდე და შესაბამისი ბრძანების თანახმად განათავსებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის კორექტირება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი წარედგინება სამეურვეო საბჭოს წლის ბოლოს და მიღებული შედეგების გათვალისწინება ხდება მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები: შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
   დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს სამართლებრივ რეაგირებას დარღვევებზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, დაცულია სსსმ მოსწავლეთა უფლებები. ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას: მათი შესაძლებლობის რეალიზებისთვის სკოლაში უზრუნველყოფილია, როგორც კლასში საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისი ადამიანური (სპეციალური პედაგოგი), ფიზიკური (რესურს ოთახი) და მატერიალური (ადაპტირებული სასწავლო მასალა) რესურსით.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს, კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების მექანიზმები. ხელშეკრულება მოიცავს ასევე სასწავლო დროის და დასვენების დროის რეგულირებას.

მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი სახელმძღვანელოებისა გადაცემის მიზნით. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რეგულირებას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების და გასვლითი ღონისძიებების შესახებ; ინფორმაციას სასწავლო დროის, დასვენებისა და უქმე დღეების შესახებ; ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს; დამატებით პირობებს და მხარეთა რეკვიზიტებს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

- მიღება-ჩაბარების აქტი სახელმძღვანელოების გადაცემაზე;
- მშობელთა კრების ოქმი;
- რეფერირება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები. 2026 წლიდან პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 26/02/2025 წლის №07/ნ ბრძანების შესაბამისად.

   სკოლა მუდმივად თვალს ადევნებს და მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, დროულად ეცნობა და აქვეყნებს ინფორმაციას მოსწავლეთა რეგისტრაციის ეტაპებისა და სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. კერძოდ, სკოლაში მოსულ პირს, სკოლის საქმის მწარმოებლის მიერ მიეწოდება საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა პროცედურის ფარგლებში სკოლაში წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის შესახებ. გარდა ამისა, პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის/ჩარიცხვის ვადები, ეტაპები და პროცედურები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას. აღნიშნული პროექტები რეგულარულად შუქდება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სკოლის საზოგადოების, ასევე ფართო აუდიტორიის ინფორმირებულობას და ჩართულობას. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომის და მათზე რეაგირების საკითხებს, ასევე სკოლაში გამოცხადების პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ვებგვერდზე. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია მოსწავლეთა ქცევის წესები. სკოლის მისაღებში განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სანიმუშო პროექტები, ფოტოკოლაჟები თუ მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები, რომელიც უბიძგებს მოსწავლეებს სასურველი ქცევის ჩამოყალიბებისკენ.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**
   სკოლის დირექციის განმარტებით დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს. დამრიგებლების მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრებისა და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვს შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილი შიდა სასკოლო ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებელ დაფაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;
- 2025.2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ბრძანება პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ;
- ბრძანება მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;
- ბრძანება სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის, წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება მობილობით გადმოსული მოსწავლის კლასში ჩარიცხვის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N-01-03/29; 15 სექტემბერი, 2023 წელი) სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა საჭიროების შემთხვევაში, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლის თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს მოახდინოს სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორც ბაღიდან სკოლაში, ასევე საფეხურიდან საფეხურზე. სკოლა ახდენს სხვა სკოლიდან ახალგადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის დირექცია - ადმინისტრაციასთან ერთად, კლასის დამრიგებლები და მოსწავლეები. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები არიან ერთი თემის წარმომადგენლები, რაც ამარტივებს როგორც მოსწავლის ადაპტაციას გარემოსთან, ასევე კომუნიკაციას. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ერთვება სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებისთვის არის დამატებითი დიდაქტიკური, სასწავლო რესურსები. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან სატელეფონო კომუნიკაციით მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სასკოლო

სასწავლო გეგმით განსაზღვრულია რემედიაციის საკითხები. სკოლას აქვს რემედიაციის დებულება (ბრძანება N01-03/10, 26/03/2026), რომელიც ასევე მოიცავს რემედიაციის პროგრამასაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

   სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. მაგალითად, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ, შიდა სასკოლო მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესახებ და სხვა. კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს და მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლაში იგრძნობა მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ნანახი მასალებით (პროექტები, ფოტოები) და მოსწავლეებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ მოზარდები არიან აქტიურები და ინიციატივიანები. მოსწავლეთა ინიციატივითა და ჩართულობით ხორციელდება უამრავი პროექტი, რასაც მოწმობს სკოლის დერეფანსა და საკლასო ოთახებში მრავლად გამოფენილი თვალსაჩინო მასალა, ასევე მოსწავლეთა პირად საქმეებში განთავსებული მადლობის სიგელები და სერტიფიკატები.

   სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „პეტრა“, „ევრიკა”, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება, საზოგადოებრივ საქმიანობებში მოსწავლეთა ჩართვა. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული თამაშების კლუბი, რომელიც მოსწავლეებს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ფარგლებში

სთავაზობს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს, იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ, თემის ფარგლებში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესში. მოსწავლეთა თვითმმართველობა მიმართავს დირექტორს კონკრეტული ინიციატივის შესახებ. მაგალითად, სკოლის დერეფანში ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის წყალობით მოწყობილია პატარა მუზეუმი, სადაც გამოფენილია სკოლის მოსწავლეების მიერ თემში შეგროვებული ძველთაძველი ნივთები, ასევე მოსწავლეთა მიერ შექმნილი ორიგინალური ხელთნაკეთი ნივთები, ეს სამუზეუმო სივრცე საკმაოდ სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის სასკოლო სივრცეში. ასევე ახლადშექმნილი ეკოკლუბის ინიციატივით სკოლის წინ განხორციელდა დამატებით სანაგვე ურნის განთავსება, რაც როგორც ეკოლოგიური, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ სკოლისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა ინიციატივების გასათვალისწინებლად სკოლა მიმართავს სხვადასხვა გზას, ხშირად მართავს შეხვედრას მოსწავლეებთან, ისმენს მათ ინიციატივებს, საჭიროებებს. სკოლა დაინტერესებულია და მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს. სურვილებს და ინტერესებს საჭიროებებს სხვადასხვა მომსახურეობების გაწევისას ატარებს როგორც ჯგუფურ ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს, რათა დაადგინოს როგორია მოსწავლეების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. სკოლა იყენებს ზეპირი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. მოსწავლეთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია ჯგუფები. მშობელთა უკუკავშირის მიღება ხდება მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✦ ასკოლო სასწავლო გეგმა;

- რემედიაციის დებულება;
- მოსწავლეთა მადლობის სიგელები;
- პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ამსახველი თვალსაჩინო მასალა;
- შინაგანაწესი
- სკოლის დერეფანში სპორტული აქტივობების ამსახველი მასალა, ჯიდლოები, სერტიფიკატები, თასები.
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   მოსწავლეებისთვის სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება მოსწავლეებისთვის ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიებზე, უყვებიან კოლეჯებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე (სპეციალობები, ფაკულტეტები, მიღების წესები და სხვ.), აცნობენ დაწესებულებების ჩამონათვალს. სკოლა უზრუნველყოფს უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელთა შეხვედრებს მოსწავლეებთან. უკვე რამდენიმე წელია სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ქობულეთის პროფესიული განვითარების ცენტრ ,,ახალ ტალღასთან". მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში. მიმდინარე სასწავლო წელს მათ მიერ ჩატარებულ კონკურსში ,,წერე რომ დარჩეს" საუკეთესო ნაშრომისთვის დაჯილდოვდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის გააქტიურებას სხვადასხვა მიმართულებით;
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, ხორციელდება მოსწავლეებთან შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრას, სურვილის შემთხვევაში ესწრებიან მშობლებიც. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით ჩანს, რომ დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაცია, მათთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება. დამრიგებლები მჭიდრო კომუნიკაციაში არიან მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას იმ შესაძლებლობების (კოლეჯი, უმაღლესი სასწავლებელი) შესახებ, რაც არსებობს მოსწავლეთათვის სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ. ასევე, დამრიგებელი პერიოდულად განიხილავს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და სამომავლო გეგმებს.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის წარმომადგენლებმა როგორც აღნიშნეს, სკოლა გეგმავს ამ მიმართულების გაძლიერებას, კერძოდ, უკუკავშირის მიღებას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მემორანდუმი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- კითხვარის ნიმუშები;
- შინაგანაწესი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი (ბრძ. N 01-03/25. 2025წ. 26 სექტემბერი). ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე.

   სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი (ბრძ. N01-03/24. 2025წ. 26.09), რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბოლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება.

   დაწესებულებამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (ბრძ. N01-03/23. 2025წ. 26 სექტემბერი), სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახის მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. ისგ ჯგუფების მუშაობა საოქმო ჩანაწერებით, ინდ.გეგმებით. უნდა აღინიშნოს რომ რესურსოთახი სკოლაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო რესურსით.

   სკოლას ამჟამად ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე და 1 სპეც . მასწავლებელი. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასთან ინტეგრაციის პროცესში. კერძოდ, შექმნილია სსსმ მოსწავლისთვის შესაფერისი სასწავლო გარემო, სამწუხაროდ სსსმ მოსწავლე საჭიროებს ეტლით გადაადგილებას, თუმცა მშობელი უარს ამბობს ეტლის გამოყენებაზე. შესაბამისად სსსმ მოსწავლე ვერ გადაადგილდება დახმარების გარეშე. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ადაპტირებული სველი წერტილი მოთავსებულია უშუალოდ რესურსოთახის გვერდით, ერთ ფლიგელში, რაც დამატებით კომფორტს უქმნის სსსმ მოსწავლეს. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ რესურს ოთახი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო მასალით. სასწავლო პროცესი სსსმ მოსწავლისათვის არის მის საჭიროებებზე მორგებული, შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მხრიდან. დამრიგებლები წინასწარ ამზადებენ კლასს სსსმ მოსწავლეების მისაღებად, სწორი დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად და ამ საკითხებზე ესაუბრებიან მშობლებსაც.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 1 სსსმ მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი (უფროსის სტატუსის მქონე) ეფექტურად თანამშრომლობს დანარჩენ მასწავლებლებთან, მშობლებთან და ყველა ერთად ხელს უწყობენ პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. სსსმ მოსწავლეების ნაშრომები გამოფენილია რესურს ოთახში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ი.ს.გ ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძ. N 01-03/25. 2025წ. 26 სექტემბერი);
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძ. N01-03/24. 2025წ. 26.09);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება (ბრძ. N01-03/23. 2025წ. 26 სექტემბერი);
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინტერვენციის გეგმა ქართულსა და მათემატიკაში;

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების სპეციალური მასწავლებლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- ისგ ჯგუფის ოქმი N1 26.09.2025;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება. სკოლა სარგებლობს ტრანსპორტირების სახელმწიფო პროგრამით.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   ტრანსპორტირების პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით, რათა მოხდეს სკოლიდან შორს მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლაში და მათთვის განათლების მიღების ხელშეწყობა.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებით, მძღოლისადმი წაყენებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით. ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება დილით სახლიდან სკოლამდე და გაკვეთილების დასრულების შემდეგ სკოლიდან სახლამდე მიყვანით. აღნიშნული დასტურდება ხელმოწერილი ტაბელებით.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო კომპანიასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- ტრანსპორტირების ტაბელი;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N 01-03/34 17.09.2019

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** **▇ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	▇ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ▇ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	▇ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	▇ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**
   სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ეს თავისთავად ცხადყოფს, რომ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა და გათვალისწინება. ასევე, გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები სხვადასხვა ეტაპზე, როგორიცაა შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი კათედრები განიხილავენ მიღწეულ შედეგს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. მასწავლებლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, და სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე ფასდება შემოქმედებითი დავალებებით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მატერიალური ბაზის გათვალისწინებთ. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის

შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. კათედრების მიერ საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას. კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაძლებლობების გათვალისწინებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწოდებულ უკუკავშირს. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებისაკენ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის გამოცდილება. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ასევე, აღნიშნულია, რომ კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე, პედაგოგებმა გააცნეს კურიკულუმები და დაგეგმილი აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, შუალიდური მიზნები, საკითხები, რესურსები. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შუალედური დავალებების იდეა, რომლის ფარგლებშიც ხდება შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული შუალედური დავალებები იძლევა კონსტრუქტივიზმის პრინციპების რეალიზების და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას. **რჩევა**: ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შემუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა თემა ემთხვეოდეს სტანდარტით განსაზღვრულს. სასურველია, კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი მეტი შუალედური დავალება, დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს შუალედური დავალების პირობები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხო ენების საგნობრივი პედაგოგების მიერ შექმნილია გაერთიანებული კათედრა. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას. სკოლამ ვერ წარმოადგინა შემდეგი კურიკულუმები: VII-IX-X-XII კლასების „მოქალაქეობა“, XII კლასის „საქართველოს ისტორია“; VIII კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი შევსებულია ნაწილობრივ (სასწავლო თემები, სამიზნე ცნებები და საკითხებია მხოლოდ გაწერილი). სკოლას არ ჰყავს მესამე კლასელები და შესაბამისად არ წარმოუდგენია ამ კლასის კურიკულუმები. სკოლაში არის კლას-კომპლექტები: 4-5 კლასი, 9-10 კლასი, რაც შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებას ითვალისწინებს, და წარმოდგენილ კურიკულუმებში ეს ფაქტორი არ იყო გათვალისწინებული.
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ყველა კლასში, კურიკულუმები, რაც ბუნებრივია, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული

	პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმებში მეტწილად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები. ასევე, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. როგორც ინტერვიუდანაც ირკვევა, მასწავლებლებს აქვს გარკვეული მზაობა და სურვილი აქტიურად განახორციელონ შემოქმედებითი ტიპის დავალებები.
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც მოიცავს თემატურ ერთეულებს, სამიზნე ცნებებს, დასამუშავებელ ტექსტებს, კონტექსტმაგალითებს (ცალკეულ თემებში), დავალების იდეებსა და სასწავლო რესურსებს. წარმოდგენილი მასალები ქმნის ზოგად წარმოდგენას სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ და აჩვენებს, რომ კურიკულუმი მოიცავს იმ ძირითად კომპონენტებს, რომლებიც საჭიროა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და აქტივობებზე დაფუძნებულ სწავლებას. ამასთან, კურიკულუმის ჩარჩოები არაერთგვაროვანია, რაც ართულებს მათ ერთიანად აღქმასა და გამოყენებას. **რჩევა**: სასურველია კათედრაზე შეთანხმდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმატი.
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები

	ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დავალებებზე. ურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს - სამიზნე ცნებები ლოგიკურადაა გადანაწილებული თემების მიხედვით და ფარავს სასწავლო წლისა და საფეხურის სრულ მოცულობას.
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოდგენილია, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შედეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. მაგრამ საბაზო საშუალო სექტორის მიმართულებით გვაქვს **ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს** სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საბაზო და საშუალო კლასების კურიკულუმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისი დოკუმენტაცის გაცნობით დგინდება, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
ტექნოლოგიები	სკოლაში წარმოდგენილი კურიკულუმი სტრუქტურულად გამართულია და მოიცავს მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, რაც ქმნის წინაპირობას სასწავლო შედეგების მიღწევისთვის. თუმცა, შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელება შეზღუდულია. კერძოდ, საგნის მასწავლებელს არ აქვს გავლილი სასერტიფიკაციო გამოცდა და არ ფლობს შესაბამის საგნობრივ/პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე. აღნიშნული გამოიხატება აქტივობების არაეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაში, მოსწავლეთა არასაკმარის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის მიზნობრივად წარმართვის სირთულეებში. შედეგად, კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები სრულად ვერ აისახება პრაქტიკაში, რაც აფერხებს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

	რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის დასაქმება ან მოქმედი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის სასერტიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით, რათა გაუმჯობესდეს კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელება და სწავლა-სწავლების ხარისხი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (მათემატიკა, სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს , რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალება. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში. წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია ესგ მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებენ ძირითად პრინციპებს. **რჩევა:** კათედრაზე შემუშავებული იყოს კურიუკულუმების ერთიანი ჩარჩო, ყველა თემაში წარმოდგენილი იყოს სამიზნე ცნებები და ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, მითითებული იყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ასევე რესურსების ჩამონათვალი. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომის ოქმი, სადაც მტკიცდება საგნობრივი კურიკულუმები.
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, ძირითადი საკითხები, კონტექსტ მაგალითები და სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად დავალებები გვხვდება, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის (მაგ. „ყველაზე პოპულარული რეკლამა“), ბუკლეტები(მაგ. ბულინგის თემაზე), ესეს დაწერა (პროფესიის არჩევა) ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს.
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მუსკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე კლასის კურიკულუმში საგნის სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია. **რჩევა:** სასურველია დაწყებით და საბაზო საფეხურის კურუკულუმებში თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. სასურველია კათედრამ ერთობლრივად

	შეიმუშაოს და სრულყოს დაწყებითი საფეხურის (5–6 კლასები) და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები, 1–4 კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, აგრეთვე დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მუსიკის კურიკულუმების ანალოგიურად.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და თემატური ერთეულები, რაც მიუთითებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან შესაბამისობაზე. წარმოდგენილი თემები და ტექსტები ქმნის საფუძველს შესაბამისი შინაარსის დამუშავებისა და მოსალოდნელი შედეგების მიღწევისათვის. ამასთან, რიგ შემთხვევებში თემის შიდა სტრუქტურა სრულად გამოკვეთილი არ არის. კერძოდ, მეთერთმეტე კლასის კურიკულუმში თემებში შემავალი ტექსტების დამუშავების ლოგიკა ნაკლებად იკითხება - თემის ფარგლებში მხოლოდ თითო ტექსტთან არის დაკავშირებული სამიზნე ცნებები, რესურსები და სხვა კომპონენტები, რაც ზღუდავს თემის მრავალმხრივ დამუშავებას. ასევე, კურიკულუმებში არ არის ასახული კლასკომპლექტები (IV-V და IX-X კლასები), რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის რეალური პირობების გათვალისწინებისთვის. **რჩევა:** სასურველია, საბაზო საფეხურზე თემების შიდა სტრუქტურის უფრო მკაფიოდ გაშლა, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე კლასკომპლექტების სპეციფიკის ასახვა კურიკულუმში.
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა.დავალებები და აქტივობები ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას ასევე გამოიკვთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას .

	რჩევა: მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, თანხვედრაში მოიყვანონ დამტკიცებულ სახელმძღვანელოების ჩამონათვალში შეტანილი გამომცემლობები და ავტორები, მიმდინარე კურიკულუმთან.
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოდგენილია, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.
ტექნოლოგიები	სკოლის კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და შინაარსობრივად უზრუნველყოფს მათი მიღწევის შესაძლებლობას. თუმცა, კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელება სრულყოფილად ვერ ხერხდება, რაც უკავშირდება მასწავლებლის არასაკმარის პროფესიულ კომპეტენციებსა და შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობას, რის შედეგადაც მიზნები ნაწილობრივ მიიღწევა. **რჩევა:** სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის ჩართვა სასწავლო პროცესში ან არსებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა (მათ შორის, სასერტიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება), რათა გაუმჯობესდეს კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, ყველა საგანის (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი- ძირითადი რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები. **რჩევა:** ბიოლოგიის რესურსების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს ასაკობრივი შესაძლებლობები; კურიკულუმში ჩაშენდეს ვირტუალური ლაბორატორიიდან დავალებები; კურიკულუმში აისახოს ინტერვიუს დროს აღწერილი მარტივი ექსპერიმენტები, რომელთა განხორციელება არ საჭიროებს ლაბორატორიულ რესურსს. ბუნებისმეტყველბის მეოთხე კლასის კურიკულუმში მოცემული სასწავლო რესურსი შესაბამისობაში იყოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულ გრიფირებული სახელმძღვანელობის ჩამონათვალთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია ლიტერატურა და რესურსები. **რჩევა:** მაგალითად, VI კლასის ჩვენი საქართველოს, VII კლასის ისტორიის კურიკულუმებში ზუსტად იყოს მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოს სათაური, ავტორი, გვერდები; ასევე, მიეთითოს დამატებითი რესურსები და ლიტერატურა. დადგინდა შეუსაბამობა სკოლის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოებს და კურიკულუმებში მითითებულ ძირითად ლიტერატურას შორის. მაგალითად: VIII კლასის ისტორიის დამტკიცებული სახელმძღვანელოა ნ.ახმეტელი, გამომცემლობა „დიოგენე“, ხოლო კურიკულუმში მითითებულია მხოლოდ გამომცემლობა „ლოგოს პრესი“; სკოლის

	მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოების ნუსხაში გამორჩენილია XI-XII კლასების საგანი „მოქალაქეობა“ და XII კლასის საგანი „საქართველოს ისტორია“.
უცხოური ენები	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებულია ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა, დამატებითი ონლაინ რესურსები. ასევე მოსწავლეთა ნამუშევრებიც, შეიძლება განვიხილოთ, როგორც რესურსები. საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში ჩაშენებულია ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა, დამატებითი ონლაინ რესურსები.(ბმულების სახით).
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულმების მიხედვით(მუსიკა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი, გრიფირებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმში ასევე წარმოდგენილია დამატებითი ელექტრონული რესურსები: ვიდეო რგოლები, ელექტრონული პლატფორმები, მოსასმენი მუსიკალური ნაწარმოებები .ვიზიტის დროს პედაგოგმა აღნიშნა , რომ მუდმივად ცდილობს განაახლოს რესურსები და საგაკვეთილო თემებზე მორგებული მრავალფეროვანი მასალით გაამდიდროს სასწავლო პროცესი. **რჩევა:** სასურველია დაწყებითი და საბაზო საფეხურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ასევე მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, რომელზეც პედაგოგმა ვიზიტისას ისაუბრა
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში ძირითად რესურსად, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე, მითითებულია სახელმძღვანელო. ასევე, ცალკეულ თემებში წარმოდგენილია დამატებითი რესურსები, რაც გარკვეულწილად ამდიდრებს სასწავლო პროცესს. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ძირითად შინაარსობრივ ჩარჩოს, თუმცა დამატებითი რესურსების გამოყენება ყველა თემაში თანაბრად არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული ზღუდავს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას და თემების უფრო ღრმა დამუშავების შესაძლებლობას.

	ამასთან, კლასკომპლექტების პირობებში (IV-V და IX-X კლასები) კურიკულუმებში თემებისა და რესურსების თანხვედრა საჭიროებს გადამუშავებას, რათა უკეთ იყოს მორგებული ერთობლივ სასწავლო პროცესზე. **რჩევა** სასურველია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე დამატებითი რესურსების გამოყენება უფრო სისტემურად და თემებთან შესაბამისობაში იყოს წარმოდგენილი, მათ შორის კლასკომპლექტების გათვალისწინებით.
მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს.
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში.
ტექნოლოგიები	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, შინაარსობრივად შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და ქმნის პირობებს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. თუმცა, შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული რესურსები სასწავლო პრაქტიკაში არ გამოიყენება ეფექტიანად, რაც უკავშირდება მასწავლებლის არასაკმარის პროფესიულ კომპეტენციებსა და

	შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობას. შედეგად, რესურსების პოტენციალი სრულად ვერ რეალიზდება და გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე. **რჩევა:** სასურველია რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად გაძლიერდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარება, მათ შორის პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და მენტორინგის გზით, ან უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის ჩართვა სასწავლო პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მრავალფეროვნება, ასევე წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ქიმიის კურიკულუმს თან ერთვის შუალედურ მიზნებზე მუშაობისთვის გამოყენებული აქტივობები და მეთოდები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში შეტანილი დავალებები და აქტივობები ხელს უწყობს ინკლუზიური მიდგომების განხორციელებას. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმს ერთვოდეს ყველა შუალედური დავალების პირობა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილია XII კლასების ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის ისგ. კათედრაზე ფუნქციონირებს ისტორიის წრე „პეტრა“ (რაც ასევე დადასტურდა მასწავლებელთან ინტერვიუს დროს).

	რჩევა: კურიკულუმებში მეტად იყოს ასახული მოსწავლეთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომები, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის, წარმოდგენის და ანალიზის პროცესი. პედაგოგებმა შექმნან ინდივიდულაური პროფესიული პორტფოლიო/საქაღალდეები, სადაც შეინახავენ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ნაშორმების ფოტო-ვიდეო ამსახველ, დამადასტურებელ მასალებს.
უცხოური ენები	როგორც კურიკულუმებიდან ჩანს, ძირითადად, სასწავლო პროცესში ხდება საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება (დავალების წარდგენა ხდება მატერიალური ან ელექტრონული სახით, პოსტერის, პლაკატის ან/და პრეზენტაციის სახით). ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს წარმოდგენილი მე-12 კლასის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში საგნების მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სწავლება მიმდინარეობს კლას-კომპლექტებში(IV-V-VI და VII-VIII კლასებში) ინტერვიუს დროს პედაგოგმა დეტალურად ისაუბრა თუ როგორ ახერხებს ის ორივე საგანში (მუსიკა/ხელოვნება) საგაკვეთილო თემების, მასალის მოდიფიცირებას და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე და საჭიროებებზე მორგებას.
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინტერვენციის გეგმა, რაც მიუთითებს ინკლუზიური განათლების ელემენტების არსებობაზე. ასევე წარმოდგენილია პროექტი„ ქართული ანდაზები და გამოცანები - ხალხური სიბრძნის საგანძური“, რაც აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის აქტივობები. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები და შესაბამისად დაგეგმონ სასწავლო პროცესი.
მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი,

	რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ ესა თუ ის აქტივობა და დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად ,რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება პირობის გართულება და პირიქით, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოედგინათ სხვადასხვა ფორმით , ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით , მაკეტით.
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომებს.
ტექნოლოგიები	სკოლის კურიკულუმი დეკლარირებულად ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებასა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც ქმნის საფუძველს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობისთვის. თუმცა, შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მიდგომები სასწავლო პრაქტიკაში სისტემურად და ეფექტიანად არ ხორციელდება, რაც უკავშირდება მასწავლებლის არასაკმარის პროფესიულ კომპეტენციებსა და შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობას. შედეგად, ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები ნაწილობრივ რეალიზდება. **რჩევა:** რეკომენდირებულია გაძლიერდეს მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით (ტრენინგები, მენტორინგი, პრაქტიკული რესურსები) ან უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა, რათა სასწავლო პროცესი სრულად პასუხობდეს ყველა მოსწავლის საჭიროებებს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები სრულყოფილად არ ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ არის საკმარისად მკაფიოდ დაკავშირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. **რჩევა:** შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა შემდეგი შეფასების რუბრიკები: პროექტის, ინფორმაციის დამუშავების, წერითი აქტივობის, ჯგუფური მუშაობის, ისტორიულ წყაროზე მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის; ასევე, ისტორიის და „მე და საზოგადოების“ შუალედური დავალების შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** მეტი ყურადღება დაეთმოს შუალედური დავალებების და შემოქმედებითი პროდუქტების შეფასების რუბრიკების შექმნას. ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით აფასებს პედაგოგი მოსწავლის დავალებას, რომელ სამიზნე

	ცნებებზე მიემართება და რა დონეზეა მოსწავლის ცოდნა ამ ცნებასთან მიმართებით (პრე-, უნი-, მულტისტრუქტურული, მიმართებითი და აბსტრაქტული დონეები).
უცხოური ენები	სკოლას აქვს შეფასების განსაზღვრული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე, როგორც ინტერიუებიდან ირკვევა, მასწავლებლები მოსწავლეებს ყოველი დავალების შესრულებისას აძლევენ ზეპირ უკუკავშირს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და შემაჯამებელი დავალების ანალიზი, რომელიც მოიაზრებს ნაშრომის ძლიერ, სუსტ მხარეებსა და რეკომენდაციას, გარდა ამისა, აკადემიური შედეგების მონიტორინგის მიზნით, მე-8 კლასში ჩატარდება წლის ბოლოს სადიაგნოსტიკო წერა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს დაწყებით და დაბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), ხოლო საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფარგლებში მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. **რჩევა** სასურველია, რომ (მუსიკის/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) შეფასების რუბრიკები უფრო დაიხვეწოს, მოერგოს კონკრეტულ თემას და მკაფიოდ წარმოაჩინოს მოსწავლის მიღწევის დონე თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით
სახელმწიფო ენა	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სამივე საფეხურისათვის. წარმოდგენილი რუბრიკები იძლევა შესაძლებლობას,

	შეფასდეს მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირების შედეგი, გამოვლინდეს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი ნიმუშები მეტად არის მორგებული დავალებებსა და შეფასების მიზნებს, ხოლო დაწყებით და საბაზო საფეხურებზე წარმოდგენილი რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა და რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები სრულად არ ასახავს მისაღწევ შედეგებს, ნაკლებად არის დაკავშირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. **რჩევა:** დაწყებითი და საბაზო საფეხურები: სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების უფრო ზუსტ და ობიექტურ შეფასებას.
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შეიმუშაონ სამივე საფეხურისთვის ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის.
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შეუძლებელი გახდა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება

	არსებული პრაქტიკა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს შეფასების სისტემის დოკუმენტირების და გამჭვირვალობის პრობლემაზე. რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის შეფასების სისტემის მკაფიოდ ჩამოყალიბება, დოკუმენტირება და წარმოდგენა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რათა შესაძლებელი იყოს მისი ეფექტიანობის შეფასება და მონიტორინგი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
- გაანმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი პროდუქტები (მუსიკა/ხელოვნება)
- სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის, I-XII კლასები)
- შეფასების რუბრიკების ნიმუშები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება)
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები (მათ შორის XI კლასისთვის)
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ინტერვენციის გეგმა
- სასწავლო პროექტი: „ქართული ანდაზები და გამოცანები – ხალხური სიბრძნის საგანძური“
- კათედრის სხდომების ოქმები
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ამსახველი ოქმები

- მოსწავლეთა ნამუშევრები
- უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინდ. სასწავლო გეგმა;(მე-12 კლასის)
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დიაგნისტიკური წერის ტესტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების სია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიოლოგიის კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა აქტივობა და დავალება სრულად არ ხორციელდება სასწავლო პროცესში. **რჩევა**: სასწავლო პროცესი ყველა საგანში წარიმართოს კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებელმა ეტაპობრივად უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი აქტივობების სრულფასოვანი განხორციელება
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პრეცესი ძირითადად მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით. შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს. **რჩევა:** სასწავლო წლის დაწყებამდე აუცილებლად გადახედონ წინა წლის კურიკულუმებს და პედაგოგების მიერ წარმოებულ ჩანაწერებს, რომ გაითვალისწინონ წარმატებული პრაქტიკები და თავიდან აიცილონ უკვე გამოვლენილი ხარვეზების გამეორება.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ძირითადად იგეგმება სასკოლო კურიკულუმში გაწერილი აქტივობების შესაბამისად, როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან ირკვევა, მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის დროს.

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის დროს, მასწავლებლთან გასაბურების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესის განხორციელება დასტურდება წარმოდგენილი მასალებით - ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმით, განხორციელებული პროექტით, კათედრის ოქმებით, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ოქმებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით. აღნიშნული დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად და კურიკულუმი გამოიყენება პრაქტიკაში.
მათემატიკა	მათემატიკაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში.
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებულ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძვლებს, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებას სრულყოფილად ვერ ახერხებს. აღნიშნული მიუთითებს კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელების სირთულეებზე, რაც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობაზე. **რჩევა:** რეკომენდირებულია გაძლიერდეს მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით

	(ტრენინგები, მენტორინგი), ან უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა, რათა სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამებოდეს სასკოლო კურიკულუმს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შინაგანაწესში აღწერილი აქვს როგორ მოხდება ადამიანური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. შინაგანაწესის მე-4 მუხლში წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და სკოლის დირექციის რეაგირების წესი. კერძოდ, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით და გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

სკოლაში სასწავლო წლის, არდადეგების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გემაში განსაზღვრულია როგორ

შეიძლება ხდებოდეს სასკოლო კალენდარის მართვა, იმ შემთხვევაში თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა, კერძოდ, სასწავლო კვირა ხუთდღიანია, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები, ასევე ზამთრის სეზონზე დღის ხანგრძლივობის შემცირების ან უამინდობის გამო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია პრეზენტაციის, კვლევის, საშინაო დავალების ზოგადი რუბრიკები. ასევე, თემის, შუალედური დავალების შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს სტანდარტის მიზნებზე ორიენტირება. რუბრიკების მეტწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუმცა რიგ შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები სრულყოფილად არ ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ არის საკმარისად მკაფიოდ დაკავშირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. **რჩევა:** შეფასების ყველა რუბრიკის შემუშავებისას, კრიტერიუმები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლის მიღწევის დონის უფრო ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ პედაგოგებთან გასასუბრებისას გაირკვა, რომ შეფასების სისტემის შემუშავებაში მონაწილეობდა კათედრის ყველა წევრი. მიზანშეწონილია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდებოდა მათი შეფასება სხვადასხვა აქტივობის განხორციელების დროს და ა.შ. **რჩევა**: შეფასების რუბრიკები მოარგონ შესაბამისი ცნებების საფუძველზე შექმნილ კრიტერიუმებს, რომელშიც იქნება ასახული მოსწავლეთა ცოდნა-უნარების მიღწევის დონეები; შექმნან ეს რუბრიკები მოსწავლეების და მშობლების ჩართულობით.
უცხოური ენები	სკოლას აქვს შეფასების განსაზღვრული ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია)

	მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების და ვიზიტის დროს გასაუბრების საფუძველზე ვასკვნით, რომ კათედრას გათვალისწინებული აქვს შეფასების ძირითადი პრინციპები.პედაგოგმა აღნიშნა , რომ შეფასების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა კიდევ სჭირდება და მუშაობს ამ მიმართულებით. **რჩევა:** უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებად გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, ამიტომ სასურველია კათედრამ , უზრუნველოს კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებების რუბრიკების შემუშავება , სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებული შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. საშუალო საფეხურზე გამოყენებული რუბრიკები შედარებით მეტად არის მორგებული შეფასების მიზნებს და უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და სანდოობას. დაწყებით და საბაზო საფეხურებზე რუბრიკები უფრო ზოგადია, თუმცა მაინც იძლევა საფუძველს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისათვის. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკებში, განსაკუთრებით დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბდეს სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობიექტურობისა და სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

მათემატიკა	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ტექნოლოგიები	სკოლის შეფასების სისტემა დეკლარირებულად უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა, შეფასების დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, და ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დაადასტურა, რომ არ აქვს გამოცდილება შეფასების რომელიმე რუბრიკის გამოყენების. შედეგად, შეუძლებელია დადასტურდეს შეფასების სისტემის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და სტანდარტებთან. **რჩევა:** რეკომენდირებულია სკოლამ შეიმუშავოს სრულყოფილი, დოკუმენტირებული შეფასების სისტემა, უზრუნველყოს მასწავლებლების გაცნობა მასთან და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე, ვალიდური და სამართლიანი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს:

• მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება (სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული);

• სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება, თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

ვერიფიკაციის დოკუმენტის თანახმად მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას კათედრების მიხედვით შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მოსწავლეთათვის გამჭვირვალე და სანდოა. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკას ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების წინ. კათედრის წევრები მუშაობენ, რათა ერთად შეიმუშაონ იმგვარი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური და ობიექტურად მოხდება თითოეული მოსწავლის შეფასება.

კათედრები ამოწმებენ, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე. კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლის ნამუშევრები, ფასდება და ანალიზდება შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით კათედრაზე ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და სემესტრული (საკლასო და საშინაო დავალებების) და შემაჯამებელი შეფასებების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრების პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
- გაანმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი პროდუქტები (მუსიკა/ხელოვნება)
- სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის, I-XII კლასები)
- შეფასების რუბრიკების ნიმუშები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება)
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები (მათ შორის XI კლასისთვის)
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ინტერვენციის გეგმა
- სასწავლო პროექტი: „ქართული ანდაზები და გამოცანები – ხალხური სიბრძნის საგანძური“
- კათედრის სხდომების ოქმები
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ამსახველი ოქმები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინდ. სასწავლო გეგმა;(მე-12 კლასის)

- ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დიაგნისტიკური წერის ტესტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების სია

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გაწერილი ძირითადი რესურსი (სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, ანიმაციები იძლევა სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას, ზრდის მოსწავლის მოტივაცის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გამოიყენება სხვადასხვა მატერიალური რესურსი, მაგალითად: ტაბულები და მარტივი საშინაო ექსპერიმენტებისთვის საჭირო საშუალებები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითადად კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, ასევე რესურსები. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და ინტერნეტი, რომლის სიჩქარის და ხარისხის გაუმჯობესება უნდა იყოს პრიორიტეტული სკოლისთვის. დადგინდა შეუსაბამობა სკოლის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოებს და კურიკულუმებში მითითებულ ძირითად ლიტერატურას შორის. მაგალითად: VIII კლასის ისტორიის დამტკიცებული სახელმძღვანელოა ნ.ახმეტელი, გამომცემლობა „დიოგენე“, ხოლო კურიკულუმში მითითებულია მხოლოდ გამომცემლობა „ლოგოს პრესი“; სკოლის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოების ნუსხაში გამორჩენილია XI-XII კლასების საგანი „მოქალაქეობა“ და XII კლასის საგანი „საქართველოს ისტორია“.

	რჩევა: საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში პედაგოგებმა გაითვალისწინონ წინა წლების გამოცდილება და უფრო სრულყოფილი გახადონ ეს დოკუმენტაცია, ასახონ დამატებითი კონკრეტული ლიტერატურა, საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი რესურსები (მაგალითად რუკები, ელექტრონული აპლიკაციები, პრეზენტაციების დროს გამოყენებული რესურსები: Canva, Google Slides, Sway და ა.შ.). მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები გამოიყენონ, როგორც სასწავლო რესურსი.
უცხოური ენები	კურიკულუმებში ჩაშენებულია როგორც ძირითადი, ისე დამხარე სასწავლო რესურსები, რომლებიც როგორც ინტერვიუდან ირკვევა გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე წარმოდგენილია გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების სია.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში სკოლას მითითებული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები საგნებში (მუსიკა / სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიჰყვება ძირითად რესურს სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია საგანის სტანდარტთან . ძირითადი სახელმძღვანელოების გარდა, შემოქმედებითი დავალებების განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. ამასთან, სკოლას წარმოდგენილი აქვს დანართი №24-ის შესაბამისად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, თუმცა წარმოდგენილ კურიკულუმებში *თემის გასწვრივ არსებულ რესურსების სვეტში არა ჩაშენებული/ მოცემული შესაბამისი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გვერდები.* **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში თემის გასწვრივ არსებულ რესურსების სვეტში ჩაშენდეს შესაბამისი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამოყენებული გვერდები.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები. დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრის ფარგლებში და ეფუძნება სანდო წყაროებს.

	სკოლაში შექმნილია შესაბამისი მატერიალური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს, გეოგებრას, დესმოსს, ასევე თავად ქმნიან მრავალფეროვან რესურსებს . შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც.
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას.
ტექნოლოგიები	სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი არსებობს, თუმცა ინტერვიუსა და დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში მათი გამოყენება შეზღუდულად ხორციელდება. რესურსების სრულფასოვანი გამოყენების არარსებობა ძირითადად უკავშირდება მასწავლებლის არასაკმარის პროფესიულ კომპეტენციებსა და შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობას, რის შედეგადაც სასწავლო პროცესში რესურსების პოტენციალი ვერ აისახება სრულად.

	რჩევა: რეკომენდირებულია მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის გაძლიერება, მათ შორის ტრენინგებისა და მენტორინგის გზით, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა სასწავლო პროცესში, რათა რესურსები გამოყენებულ იქნას ეფექტიანად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსებად გამოყენებულია სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური საშუალებები, რომლებიც შეესაბამება შესასწავლ საკითხსა და მიზანს. ინტერვიუზე გამოიკვეთა რომ კურიკულუმში შეტანილი სასწავლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს კათედრა
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს დოკუმენტი – „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“. წარმოდგენილ დოკუმენტებში სუსტად არის ასახული დამხმარე რესურსების ვალიდაცია. **რჩევა**: კათედრის სხდომებზე განიხილონ საგნობრივი დამხმარე სასწავლო რესურსების ძირითადი ჩამონათვალი და დაამტკიცონ შესაბამისი ოქმით.
უცხოური ენები	სკოლას აქვს დამხარე რესურსებად ასევე გამოყენებული ონლაინ რესურსების გარდა, მოსწავლეთა მიერ შექმნილი მასალები, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე რესურსები.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს.
სახელმწიფო ენა	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება კათედრის ფარგლებში. რესურსების სანდოობა და შესაბამისობა განიხილება პროფესიულ დონეზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების შერჩევას სარწმუნო წყაროებიდან.
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტუობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ.
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.
ტექნოლოგიები	სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი არსებობს, თუმცა ინტერვიუსა და დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში მათი გამოყენება შეზღუდულად ხორციელდება. რესურსების სრულფასოვანი გამოყენების არარსებობა ძირითადად უკავშირდება მასწავლებლის არასაკმარის პროფესიულ კომპეტენციებსა და შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობას, რის შედეგადაც სასწავლო პროცესში რესურსების პოტენციალი ვერ აისახება სრულად.

	რეკომენდირებულია მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის გაძლიერება, მათ შორის ტრენინგებისა და მენტორინგის გზით, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის ჩართვა სასწავლო პროცესში, რათა რესურსები გამოყენებულ იქნას ეფექტიანად
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის შესაბამისი რესურსი. წარმოდგენილი რესურსები მწირია და ვერ უზრუნველყოფს ესგ -თი განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის 30 დეკემბრამდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და შესაბამისი რესურსით აღჭურვა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი – სასკოლო ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, პროექტორი, რომ უზუნველყოს საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი შედეგები.

უცხოური ენები	კურიკულუმის მიზნების მიღწევა მხარდაჭერილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და მოსწავლეთა რაოდენობის ოპტიმალური განაწილებით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ეფექტურობას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით .
სახელმწიფო ენა	სკოლაში შექმნილია სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური გარემო, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას. არსებული რესურსები იძლევა შესაძლებლობას სასწავლო პროცესი წარიმართოს ორგანიზებულად და შესაბამის პირობებში. სასწავლო გარემოს დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, რესურსებს ,რომლებიც აქვთ შექმნილი ან შეძენილი, იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის არის თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა, რომ რესურსების , ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა დანერგილია.
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს.
ტექნოლოგიები	ურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია ძირითადი ტექნიკური საშუალებები (კომპიუტერი,

	პროექტორი, ინტერნეტი), რაც ხელს უწყობს დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას სკოლაში
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა დასაქმებულთა პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საგანებს - კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ქიმიას, ბიოლოგიას, მოქალაქეობას და მათემატიკას დაწყებით საფეხურზე, ასწავლიდნენ უსტატუსო მასწავლებლები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გაცნობით დგინდება, რომ სკოლა ხარვეზის აღმოფხვრას გეგმავს 2026 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 2026 წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დასაქმება.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
- გაანმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი პროდუქტები (მუსიკა/ხელოვნება)
- სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის, I-XII კლასები)
- შეფასების რუბრიკების ნიმუშები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება)
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები (მათ შორის XI კლასისთვის)
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ინტერვენციის გეგმა
- სასწავლო პროექტი: „ქართული ანდაზები და გამოცანები – ხალხური სიბრძნის საგანძური“
- კათედრის სხდომების ოქმები
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ამსახველი ოქმები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინდ. სასწავლო გეგმა;(მე-12 კლასის)
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დიაგნისტიკური წერის ტესტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების სია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვლინდება, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვისას ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას და კურიკულუმში შეფასებისა და მონიტორინგის მდგრადი მექანიზმის უზუნველყოფას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიამართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებით, მასწვალებელთა პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა მიღწევების, შედეგების ანალიზი შემდეგ მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის მოგვარების გზებს, აღნიშნული პროცესი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგების გაუმჯობესება. ინტერვიურიების დროს მასწავლებლები აღნიშნეს, რომ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასების ანალიზი სამივე საფეხურზე ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაში, რომლის საფუძველზე კათედრა შევიმუშავებს პრიორიტეტულ და გრძელვადიან მიზნებზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდიფიცირებულ (გაუმჯობესებულ) კურიკულუმს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები, ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი შეფასების მექანიზმების გამოყენებით, რაც შეფასების ჰოლისტურობაზე მიუთითებს, მაგალითად, მოსწავლეთა საგნობრივი მიღწევების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებით, რომელიც მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ყველა მოსწავლე განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით, სკოლა მათ სთავაზობს შეფასების ისეთ ფორმას, რომელიც მათ ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზეა მორგებული. მრავალფეროვანი წყაროები ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს. მოსწავლის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელ, განმავითარებელ შფასებებს, აგრეთვე მასწავლებლის დაკვირვებას, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციას. დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები ახორციელებენ თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   შეფასება ხორციელდება ესგ-ს შედეგების მოთხოვნის შესაბამისად, შეფასება სასწავლო პროცესის წარმართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სკოლა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებს განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის რუბრიკებს. როგორც

განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმების საშუალებით ამომწურავად ახერხებს მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებას, აფასებს ცოდნის დონეს, გაგება-გააზრების, შეფასების, მსჯელობის, არგუმენტაციის, დასკვნების გამოტანის უნარს, ნასწავლის ტრანსფერულ და შესწავლილი მასალის სინთეზის უნარებს. შეფასებისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი მზაობა და საჭიროებები.

კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრებით, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტებითა ან პრეზენტაციებით. მასწავლებელი სწავლების პროცესში აფასებს არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებზე მუშაობას, არამედ იმასაც, როგორ ავითარებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას სხვადასხვა აქტივობაში, როგორ მუშაობს ინდივიდუალურად ან ჯგუფში. შეფასება ითვალისწინებს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობასაც, მის შესაძლებლობებს, წვდომას რესურსებზე და სხვა გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის შესრულებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შემაჯამებელი ტესტირების ანალიზი, ჩანაწერების წარმოება, წერითი სამუშაოები, ზეპირი პასუხები, დაკვირვება, პროექტული საქმიანობა და პრაქტიკული დავალებები. თითოეული მეთოდი ასახავს მოსწავლის განსხვავებულ უნარსა და შესაძლებლობას, ამიტომ მრავალფეროვანი მიდგომა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის უკეთ დანახვას. მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს როგორც ფორმალური შეფასების დროს, ისე ყოველდღიურ სწავლებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ერთეულების და რიგ შემთხვევაში ამ თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელთა

განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების გააზრებასა და ათვისებას, არამედ მთლიანი პროცესის შეფასებას, რომლის დროსაც ხდება დაკვირვება როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებზე, აგრეთვე მის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, სოციო-ემოციურ განწყობაზე და იმ მოქმედ ფაქტორებზე, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მთლიან პერფორმანსზე და შედეგებზე. კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, კონტექსტ მაგალითები და პროექტები. შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ინფორმაცია რაც მოსწავლეს უკავშირდება, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა შეფასების ელემენტს. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს დიფერენცირებული სწავლისა და შეფასების მეთოდი. მოსწავლეები ფასდება შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციისა და სხვა უნარების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი, სააბზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურუკულუმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის განვითარება და მხარდაჭერა. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგები გეგმავენ საგნობრივი კურიკულუმების გადახედვას და შემდეგი თვალსაზრისით სრულყოფას.მაგალითად თემებში გაწერენ სამიზნე ცნებებს, გააკეთებენ საკითხების / საკითხთა კლასტერის სრულყოფილ ჩამონათვალს, გაწერენ შემოქმედებით დავალებებსა და რესურსებს შეიტანონ შესაბამის ველებში.
   სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში ჩართული პირების მხრიდან მზრუნველობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას სასკოლო სივრცეში. სკოლაში შექმნილია ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემის და სკოლაზე ზრუნვის ატმოსფერო, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო სასწავლო, შემოქმედებითი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესში შექმნილ მხარდამჭერ გარემოს ადასტურებს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციები, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 13.05.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: